ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6715596

ნომერი: AR1993683

თარიღი : 05.10.2023

გაცემის თარიღი : 18.10.2023

გაცნობის თარიღი : 18.10.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 9ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 31 აგვისტოს №6641681 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 5 ოქტომბერს №AR1993683 განცხადებით მომართა რევაზ ტყემალაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 31

აგვისტოს №6641681 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 31 აგვისტოს №6641681 ბრძანებით, №01.17.12.003.182 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 31 აგვისტოდან 2026 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2023 წლის 29 სექტემბრის №6686449 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 31 აგვისტოს №6641681 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 7516.95 კვ.მ. საოფისე ფართობად - 259.4 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 682.40 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 1107.70 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 2131.50 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 2227.60 კვ.მ. საერთო ფართობად - 13992.35 კვ.მ. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 31 აგვისტოს №6641681 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდა 2023 წლის 19 სექტემბრის №AR1990608 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2023 წლის 31 აგვისტოს №6641681 ბრძანების (სამსახურის 2023 წლის 29 სექტემბრის №6686449 ბრძანების გათვალისწინებით) ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, ისევ დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ამჯერად ითხოვს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 7516.95 კვ.მ-ის ნაცვლად 7486.35 კვ.მ-ის, ხოლო საზაფხულო ფართობად 1107.70 კვ.მ-ის ნაცვლად - 1125.25 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობების ჯამური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობები, ამასთან აღნიშნული ფართობების გასწორება გამოიწვევს მთლიანი საპროექტო შენობა-ნაგებობის საერთო ფართობის დაზუსტებასაც და 13992.35 კვ.მ-ის ნაცვლად შეადგენს 13979.3 კვ.მ-ს. შესაბამისად, შესაძლებელია სამსახურის 2023 წლის 31 აგვისტოს №6641681 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და შეთანხმებული +3.60 – +36.10 ნიშნულების არქიტექტურული გეგმების ჩანაცვლება წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 31 აგვისტოს №6641681 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 31 აგვისტოს №6641681 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 7486.35 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 1125.25 კვ.მ., საერთო ფართობად 13979.3 კვ.მ.
2. სამსახურის 2023 წლის 31 აგვისტოს №6641681 ბრძანებით შეთანხმებული (სამსახურის 2023 წლის 29 სექტემბრის №6686449 ბრძანების გათვალისწინებით) არქიტექტურული გეგმები, +3.60 ნიშნულის გეგმიდან +36.10 ნიშნულის გეგმის ჩათვლით, ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 31 აგვისტოს №6641681 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 31 აგვისტოს №6641681 და 2023 წლის 29 სექტემბრის №6686449 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge